

2. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, განურჩევლად გამოხატვის ფორმისა და ადგილისა, ვალდებულია კორექტული და თავაზიანი იყოს იმ პირთა მიმართ, რომლებიც მას მიმართავენ საბჭოს საქმიანობის ფარგლებში. დაუშვებელია პირადი შეხედულებების საბჭოს მანდატისათვის მიუღებელი აგრესიული და არა ტოლერანტული, სიძულვილის ენით გამოხატვა.

3. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი პატივისცემით ეპყრობა საქართველოსა და სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს, განურჩევლად რასისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნულ-ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა და საცხოვრებელი ადგილისა. არ უშვებს დისკრიმინაციას რასის, სქესის, ასაკის, სოციალური მდგომარეობის, შეხედულებების, ან სექსუალური ორიენტაციის მიმართ.

4. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი ვალდებულია დაიცვას ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და თავი შეიკავოს ჰომოფობიური განცხადებებისაგან. გენდერული საბჭო მხარს უჭერს პროფესიონალიზმს და კომპეტენციას.

5. გენდერული თანასწორობის საბჭო ხელს უწყობს საერთაშორისო და ნაციონალური კანონების დამკვიდრებას, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებების დაცვას, განსაკუთრებით გენდერული თანასწორობის, ადამიანთა მდგრად განვითარებას, სიღარიბის დაძლევას და სოციალურ სამართლიანობას. ამასთან ერთად, პატივს სცემს უფლებებს და ღირსებას ყველა ადამიანის მიმართ.

6. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი ცდილობს, თავიდან აირიდოს საბჭოს წევრისათვის შეუფერებელი საქციელი და ამგვარი საქციელის გამოვლენისას მზად არის მოიხადოს ბოდიში.

მუხლი 6².

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი პატივს სცემს საბჭოს სხვა წევრების კომპეტენციას, გამოცდილებასა და შეხედულებებს.

2. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით სხვა საბჭოს წევრის მიმართ არსებულ კრიტიკულ მოსაზრებებს პირველ რიგში განიხილავს უშუალოდ ამ წევრთან.

3. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი ვალდებულია დაიცვას გენდერული თანასწორობის საბჭოს ავტორიტეტი, საზოგადოებრივი ინტერესები და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი სხდომის წესები.

4. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი ვალდებულია არ დაუშვას საბჭოს სხვა წევრთა შეურაცხყოფა და უპატივცემულობა მათი განსხვავებული პოზიციის გამო.

5. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი საერთო დავალების შესრულებისას, ან გუნდური მუშაობის დროს ცდილობს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მიაღწიოს კონსენსუსს და შესაძლო შედეგებზე იღებს ერთობლივ პასუხისმგებლობას, ასევე, ჯგუფის ინტერესებს აყენებს პირად ინტერესებზე მაღლა.

მუხლი 6³.

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრის მიერ დანართის ამ თავის მე-6¹ და მე-6² მუხლების დარღვევის შემთხვევებზე, საბჭოს თავმჯდომარის, ან გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრის ინიციატივის, აგრეთვე, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის სახელზე შემოსული წერილობითი მომართვის საფუძველზე, საბჭოს შემადგენლობა ყველა დაინტერესებულ პირთან დიალოგის შემდგომ, მსჯელობს ამავე საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხზე და საბჭოს დამსწრე წევრთა წერილობითი დასაბუთებული მოსაზრების საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარე იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

2. გენდერული თანასწორობის საბჭოს იმ წევრის მიერ, რომელიც ამავდროულად არის საკრებულოს/მერიის თანამდებობის პირი, საბჭოს წევრის მიერ ამ თავით გათვალისწინებული ეთიკური საფუძვლების დარღვევის

შემთხვევაში, ამ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული წესით, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ და გასცემს რეკომენდაციას მისი თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე.

3. გენდერული თანასწორობის საბჭო ამ თავით განსაზღვრული ნორმების დარღვევის საკითხს განიხილავს დაუყოვნებლივ.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნიკოლოზ ლატარია